III

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2011

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ენა; II. ქართული ლიტერატურა; III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება.

დავალებების ერთი ნაწილის შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედი მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

I და II ნაწილების შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ტესტის ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.
ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება - ორი დავალებისაგან შედგება.
უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (ან N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც** და **ბ) წერითი დავალებაც**.
შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.
წერითი დავალების შავი ვარიანტის დასაწერად ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია რამდენიმე გვერდი.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
<u>არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი</u> და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ენა

(4) **1. კონტექსტის გათვალისწინებით შეარჩიეთ, ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტში ხაზგასმული სიტყვების შესაფერისი ანტონიმები.**

ა) დაბალი. ბ) მაგარი. გ) მკაცრი. დ) მოკლე. ე) მცირე. ვ) პატარა. ზ) სასტიკი. თ) ღონიერი. ი) ცხელი. კ) ძლიერი.

ალპური ზონა ყველგან გვხვდება, სადაც კი მთებია. მცენარეებისა და ხეების უმრავლესობა მწვერვალებზე გაიყინებოდა და გახმებოდა. ამიტომ აქ მხოლოდ (1)<u>დიდი</u> და (2)<u>სუსტი</u> მცენარეები ხარობს, რომლებიც საუკეთესოდ ეგუება (3)<u>მაღალ</u> ტემპერატურას. მათი უმეტესობა ნელა იზრდება, მიწას ეკვრის და ასე იცავს თავს (4)<u>რბილი</u> ჰავის ზემოქმედებისაგან.

თქვენ მიერ შერჩეული პასუხები ხაზგასმული სიტყვების **შესაბამისი ნომრების გასწვრივ** მოცემულ უჯრედებში აღნიშნეთ X-ით.

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი	კ
1.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
2.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
3.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
4.	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

(7) **2.**

ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები. რამდენიმე წინადადებაში თითო-თითო შეცდომაა, რამდენიმე წინადადება კი უშეცდომოა.

თუ წინადადებაში შეცდომაა დაშვებული, აღნიშვნა **X** გააკეთეთ პირველი რიგის შესაბამის უჯრედში, ხოლო თუ წინადადებაში შეცდომა არაა, აღნიშვნა **X** გააკეთეთ მეორე რიგის შესაბამის უჯრედში.

	I შეცდ.	**II** უშეცდ.
1. შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის ქვეყნებმა მეცნიერების განვითარების მხრივ მნიშვნელოვნათ გაუსწრეს ევროპას.	☐	☐
2. აღმოსავლელი მეცნიერები ციურ სხეულთა მოძრაობაში ისეთ თავისებურებებს ამჩნევდნენ, რაც სამყაროს ბერძნებისეულ სისტემას არ ეთანხმებოდა.	☐	☐
3. ასტრონომიამ დიდ წარმატებებს მიაღწია შუა აზიის ისეთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრებში, როგორებიცაა: ბუხარა, მერვი და სამარყანდი.	☐	☐
4. აქ მოღვაწე ასტრონომებმა თავიანთ მიღწევებით არა მარტო გაუსწრეს სხვა ხალხებს, არამედ ნიადაგი მოუმზადეს ევროპულ მეცნიერებას.	☐	☐
5. X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი მეცნიერი ბირუნი.	☐	☐
6. მას მტკიცედ წამდა, რომ ასტრონომიაში მხოლოდ ის მოსაზრება იმსახურებდა ნდობას, რომელიც ცდებით იყო დადასტურებული.	☐	☐
7. ბირუნი კრიტიკულად აფასებდა ბერძენთა მოძღვრებას და კოპერნიკამდე ხუთასი წლით ადრე სწორად ჰქონდა წარმოდგენილი მზის სისტემის აგებულება.	☐	☐

(14) **3.** ტექსტში დაშვებულია **13** მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. ***გაასწორეთ*** ეს შეცდომები და ხარვეზები და გადაწერეთ ტექსტი ისე, რომ მასში ***არც ერთი სხვა ცვლილება*** არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 14 ქულა. ***გაითვალისწინეთ,*** ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თავისუფლების მოედანი ბევრი ხნის განმავლობაში უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. ვახუშტის მიერ შედგენილ გეგმაზე იგი გარშემორტყმულია ბაგრატიონთა ბაღებით. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოედანზე შეშის ბაზრობა იმართებოდა. იქ სადაც ახლა მცირე სკვერია შემორჩენილი შეშით დატვირთული ურმების სადგომი იყო. მოგვიანებით ამ ადგილას ხეივანის გაშენება გადასწყვიტეს. თბილისის საზოგადოებამ გაიღო თანხა, რადგან აქ პუშკინის ბიუსტი დაედგათ.

მოედნის ირგვლივ იდგა რამდენიმე შენობა, რომელიც სხვადასხვა დროს აიგო. ზოგიერთი მათთაგანი დღესაც ამშვენებს ჩვენ დედაქალაქს. მოედნის ერთ მხარეს დგას მერიის შენობა, რომელიც მე-19 საუკუნის 30-ან წლებში აუღმართავთ. თავდაპირველად აქ პოლიციის განყოფილება იყო განთავსებული. მოგვიანებით ქალაქის ხელმძღვანელობამ ნაგებობა არქიტექტორი შტერნის პროექტის მიხედვით გადააკეთებია. საბოლოო სახე მან 1912 წელს მიიღო.

(15) **4.** იმსჯელეთ <u>მაწანწალა ცხოველების</u> პრობლემის შესახებ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა;
- როგორია მაწანწალა ცხოველების მიმართ ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება;
- როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ.

შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში გამოყოფილია ადგილი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი).

გაითვალისწინეთ: *არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი* ***არ გასწორდება!***

შავი სამუშაოსათვის

II. ქართული ლიტერატურა

(5) **5. იოვანე საბანისძის თხზულებაში „აბოს წამება“ ვკითხულობთ:**

და იყო იგი ხელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა და სწავ-ლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაითა. ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსვლაი იგი არა თუ თვით თავით თვისით განიზრახა, არამედ ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა ნე-ტარსა მას აბრაჰამს მასვე ქუეყანასა შინა ქალდეველთასა. ეგრეთვე ესე კუალად ნაშო-ბი აბრაჰამისი არა თუ თვისით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერითა იწვია ესეცა და დაუტევა მამაი, და დედაი, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები. და წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათვის. და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა. და თვისითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახვისა ხსნილად. მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდა-თა საღმრთოთა წიგნთა ძველისა და ახლისა შჯულისათა.

1. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც წერა-კითხვის მცოდნეს აღნიშნავს.
2. *დაასახელეთ* ტექსტში მოხსენიებული ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც ებრაელთა და არაბთა საერთო წინაპრადაა მიჩნეული.
3. *განმარტეთ* იოვანე საბანისძის მოყვანილი სიტყვების შინაარსი: „არა თუ თვისით გონე-ბით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერითა იწვია ესეცა“.
4. აბომ მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობები დათმო მაშინ, როდესაც ქართლში გადასახლება გადაწყვიტა. *განმარტეთ,* რის ხაზგასმა სურს ამით ავტორს.
5. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომლითაც ავტორი აღნიშნავს აბოს კეთილშობილებას.

(5) **6. ნესტანი სწერს თავის მიჯნურს:**

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: „სხვათა მიჰხვდების იგი ალვისა ტანითა!“
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა,
ან თავსა კლდესა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.
შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი!
შენმან მზემან, ვერვის მიჰხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!

აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი.
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი!“

1. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით, რის გამო არ უნდა იდარდოს ტარიელმა (უპასუხეთ პირველი სტროფის მიხედვით).
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ ტარიელის გარეშე ნესტანის ამქვეყნიური არსებობა აზრს კარგავს.
3. *განმარტეთ,* რა გამოსავალი რჩება ნესტანს შექმნილი ვითარებიდან.
4. *განმარტეთ,* რას სთხოვს ნესტანი ტარიელს (უპასუხეთ მეორე სტროფის მიხედვით).
5. *განმარტეთ,* რა ელის ნესტანს იმ ქვეყნად, თუ ტარიელი მის თხოვნას შეასრულებს (ციტირება დაუშვებელია!).

(5) **7. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ რუსი ოფიცერი ეუბნება ავტორს:**

„ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება, რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება: ჩაივლით ერთს მშვენიერ დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა... მე აქ არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება... იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ... აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა“.

1. *განმარტეთ,* კონკრეტულად რაში ხედავს რუსი ოფიცერი ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობას.
2. *დაასახელეთ,* როგორი ადამიანები ესაჭიროება, რუსი ოფიცრის აზრით, „ახლად დაჭერილ ქვეყნებს“.
3. *ამოიწერეთ* სიტყვები, რომლებშიც, რუსი ოფიცრის აზრით, გამოიხატება „მეცნიერი კაცის“ შრომის შედეგი (არა უმეტეს სამი სიტყვისა).
4. *განმარტეთ,* მგზავრისადმი რა დამოკიდებულება ვლინდება რუსი ოფიცრის მცდელობაში, მდაბიურ ენაზე „უთარგმნოს“ თანამოსაუბრეს ზოგიერთი სიტყვა.
5. *დაასახელეთ,* რუსი ოფიცრის მიმართ ავტორის რა დამოკიდებულება ჩანს მოყვანილ მონაკვეთში.

(5) **8. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“:**

მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჰგლეჯს, დაიფვევს წყლულშია
მწვანეს ბალახსა მთისასა...
თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
„ეხლა შენ იყოს, რჯულძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა.
ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც გარეგნობის მეშვეობით მუცალის სულიერი მდგომარეობაა გამოხატული.
2. *განმარტეთ,* მუცალის რა მოქმედებითაა გამოხატული ის, რომ მას სიცოცხლესთან გამოთხოვება არ სურს (ციტირება დაუშვებელია!).
3. *განმარტეთ,* მუცალის რა მოქმედებითაა გამოხატული ის, რომ იგი ალუდას ვაჟკაცობას აღიარებს (ციტირება დაუშვებელია!).
4. *დაასახელეთ,* რა იგულისხმება ხატოვან გამოთქმაში „სიტყვა გაუშრა პირზედა“.
5. *განმარტეთ,* რატომ „არ ეხარბება თვალი“ ალუდას მუცალის იარაღზე.

(5) **9. ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსში „სანტიმენტალური ტრიოლეტი“ ვკითხულობთ:**

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი,
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა,
ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.

1. *განმარტეთ,* ლირიკული გმირის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ლექსის პირველ სტრიქონში.
2. *დაასახელეთ,* ლირიკული გმირის რა განცდაა გამოხატული მესამე სტრიქონში (ციტირება დაუშვებელია!).
3. *დაასახელეთ,* რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა“.
4. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც გამოხატულია ლირიკული გმირის ფიზიკური რეაქცია მტანჯველ გრძნობებზე.
5. *განმარტეთ,* რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი.

III. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ოთარ ჭილაძის ნაწარმოებიდან „ცირკი“:

I. უკვე ზარია და ვღელავ თითქოს.
გულმაც რაღაცა მანიშნა ისევ.
და ცხოველების სუნი და სითბო
მძიმე ხელივით მომისვა პირზე
ცირკის არენამ...

II. აი, მუსიკაც!
ვისთან ხარ, ნეტავ...
ანდა ამ კლოუნს რა მოუვიდა,
თოკზე შედგომას რომ ვეღარ ბედავს
და ცრემლის ნაკადს ასხამს ყურიდან.

III. არაფერს ფასი არა აქვს ისე,
თუ არ დამალა შიში კლოუნმა.
და, ალბათ, ისიც მოიმტვრევს კისერს,
ხიფათი თუ ვერ იგრძნო დროულად.

IV. მეც უნდა დროზე მეგრძნო ხიფათი,
თუმცა ხიფათზე სულ არ ვფიქრობდი.
მე მქონდა ფრთები და რაც მხიბლავდა,
დაუფიქრებლად მისკენ მივქროდი.

V. დუმილს და ყოყმანს გადაჩვეული
დაუფიქრებლად მივქროდი ასე
და ცა მიმქონდა, როგორც რვეული,
ჯერ გაურკვეველ ნიშნებით სავსე.

VI. სურვილი იყო ჩემი ბატონი.
მეც ვუჯერებდი, რადგან მომწონდა
ჩემი სურვილი... და საათობით
ვმღეროდი, როგორც ბავშვი კოცონთან...

VII. თოკი, რომელიც ჩვენ გვაერთებდა,
ამ თოკს მაგონებს, რომელზეც ახლა
კლოუნი გადის.
შენ ზიხარ მაღლა...
ძალიან მაღლა...
თითქმის კედელთან...

VIII. მე კი მარტო ვარ და ბევრი დრო მაქვს,
რომ ყველაფერზე ვიფიქრო მშვიდად.
მე ვერ შევძელი იმ თოკზე დგომა
და შენ დაგკარგე.
და აღარ მინდა,
რომ ერთხელ კიდევ დავარტყა კეფა
რკინის იატაკს.
კლოუნს კი რაღაც
აშინებს ისევ და მხოლოდ ხელფასს
დაკარგავს, თუ ვერ გაბედა ახლაც.

IX. მე შენ დაგკარგე და ეგ საყურე
ვარსკვლავად მექცა... და შენს გამოა,
მარტო რომ ვზივარ.

აი, მსახურებს
აკრობატების ბადე გამოაქვთ.

X. ცირკში ყველაფერს ხსნიან მარტივად.
მე კი, რაც ვნახე, ისიც მეყოფა.
მეც ხომ გაფრენილ აკრობატივით
ჩემი სიცოცხლე ვანდე მეგობარს.
ის კი სხვა სკამზე გადაჯდა მაშინ,
როცა გასროლილ ქვასავით სწრაფად
მივქროდი მისკენ და ხალხიც ტაშით
მაჯილდოვებდა.
თვალი კი საფარს
და ხელჩასავლებ ადგილს ეძებდა,
მაგრამ ამაოდ.
და ჩემი ქროლვა
შეწყდა შიშისგან დამფრთხალ მხეცებთან
და კლოუნებთან.
მაგრამ მე დრო მაქვს,
რომ ყველაფერზე ვიფიქრო კარგად,
ვიფიქრო სწორად, დიდხანს და მშვიდად.
ვიპოვო თავი და რასაც ვკარგავ,
მთლიანად გაქრეს ის ჩემი ციდან.

XI. თუმცა საბრალო ადამიანი
ყოველთვის რჩება ადამიანად.
რაც უნდა ძველი იყოს იარა,
არ მოშუშდება მაინც მთლიანად,

XII. არ გამოჩნდება მაინც გარედან,
მაგრამ ყოველთვის გემახსოვრება...
და რაც უხდება ცირკის არენას,
ის სასაცილოდ ხდის ჩვენ ცხოვრებას.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. ლექსის ლირიკული გმირის *რა* თვისება ჩანს IV სტროფში?**
ა) გულგრილობა.
ბ) დაუნდობლობა.
გ) ქედმაღლობა.
დ) წინდაუხედაობა.

(1) **11. *რა* მხატვრული საშუალებაა გამოყენებული V სტროფში?**
ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) მეტაფორა.
დ) სარკაზმი.

(1) **12. *რა* მიაქროლებდა ლირიკულ გმირს** „დაუფიქრებლად“**?**
ა) მშვენიერი სიმღერა.
ბ) უღრუბლო ცა.
გ) შიშისმომგვრელი დუმილი.
დ) ძლიერი სურვილი.

(1) **13. *ვის* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „შენ ზიხარ მაღლა“**?**
ა) კლოუნს.
ბ) მეგობარს.
გ) საკუთარ თავს.
დ) სატრფოს.

(1) **14. VIII სტროფის მიხედვით, *რომელ* სტრიქონში ჩანს ძირითადი განსხვავება კლოუნსა და ლირიკულ გმირს შორის?**
ა) „მე ვერ შევძელი იმ თოკზე დგომა...“
ბ) „მე კი მარტო ვარ და ბევრი დრო მაქვს...“
გ) „რომ ერთხელ კიდევ დავარტყა კეფა...“
დ) „რომ ყველაფერზე ვიფიქრო მშვიდად“.

(1) **15. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „აღარ მინდა, რომ ერთხელ კიდევ დავარტყა კეფა“**?**
ა) ლირიკულ გმირს თოკიდან ჩამოვარდნის ეშინია.
ბ) ლირიკულ გმირს სატრფოს დაკარგვის ეშინია.
გ) ლირიკულ გმირს ფიქრის გაგრძელების ეშინია.
დ) ლირიკულ გმირს შეცდომის გამეორების ეშინია.

(1) **16. *რას* გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „და ეგ საყურე ვარსკვლავად მექცა...“?
ა) ლირიკული გმირისათვის სატრფო არაამქვეყნიური არსებაა.
ბ) ლირიკული გმირისათვის სატრფო ვარსკვლავივით მიუწვდომელი გახდა.

გ) ლირიკული გმირისათვის სატრფო ვარსკვლავივით მშვენიერია.
დ) ლირიკული გმირისათვის სატრფო საყურესავით ძვირფასია.

(1) **17. *რისთვის* ესაჭიროება ლირიკულ გმირს** „სწორად, დიდხანს და მშვიდად“ **ფიქრი?**
ა) რომ დაიბრუნოს მეგობარი.
ბ) რომ დაიბრუნოს სატრფო.
გ) რომ დაივიწყოს სატრფო.
დ) რომ დაივიწყოს ღალატი.

(1) **18. *რის* თქმა სურს ლირიკულ გმირს სიტყვებით:** „რაც უნდა ძველი იყოს იარა, არ მოშუშდება მაინც მთლიანად“**?**
ა) დიდი სიყვარულის მთლიანად დავიწყება შეუძლებელია.
ბ) მეგობრის ღალატის მთლიანად პატიება შეუძლებელია.
გ) სატრფოს ღალატის მთლიანად დავიწყება შეუძლებელია.
დ) ძველი ჭრილობის მთლიანად მოშუშება შეუძლებელია.

(1) **19. *რა* არის მოცემული ტექსტის უმთავრესი აზრი?**
ა) ადამიანის ცხოვრებასა და საცირკო წარმოდგენას შორის, სამწუხაროდ, დიდი მსგავსებაა.
ბ) ადამიანის ცხოვრებასა და საცირკო წარმოდგენას შორის, საბედნიეროდ, მსგავსება არ არის.
გ) აკრობატები ხშირად ღალატობენ ძველ სიყვარულსა და ერთგულ მეგობრებს.
დ) აკრობატებსა და კლოუნებს თოკზე გავლის არ უნდა ეშინოდეთ.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>**ნაწერი არ გასწორდება,**</u> *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

გურამ გეგეშიძის მოთხრობა „დიდებას“ პერსონაჟი, მშიერი და უპოვარი ხუროთმოძღვარი დიდება მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში მოხვდა:

აქ იყო სიჩუმე, სიცივე, სიცარიელე. გარდა ამისა, საკმაოდ ბნელოდა... დიდება ბნელ კუთხეში დაჯდა და შიშველ კედლებს მიაპყრო მზერა... ერთ ადგილზე დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებელი მონახატი გაარჩია. პირქუში და ცბიერი სახეები იცქირებოდნენ კედლიდან. დიდებას ჩაეცინა. ანგელოსების ასახვა სურდა და ეშმაკეულნი გამოუვიდა, რადგან ეშმაკეულთ კარგად იცნობდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა. ჰოდა, რაც იცოდა, ის უკეთესად გამოსდიოდა; განა ეშმაკეულნი არ იყვნენ ღირსნი ყურადღებისა? თუმცა, რა უნდა ეშმაკეულს ეკლესიის კედლებზე, კიდევ კარგი, ვერ მოასწრო ნახატის დასრულება, არ დააცალეს, არ დაამთავრებინეს. ახლა გული აღარ სწყდებოდა ამაზე...

სადღაც კარმა გაიჭრაჭუნა, ფეხის ხმაც გაისმა, მაგრამ დიდებას არავინ დაუნახავს. კიდევ უფრო მოიკუნტა. რა მოუტანა ამდენმა წვალებამ? აჰა, ეს ეკლესია ააგო, ახლა მას სხვები განაგებენ, აქ სხვები დადიან, თვითონ კი მათხოვარივით ზის ბნელ კუთხეში ნაწამები, დაღლილი, გულგრილი. აღარავის ახსოვს მისი არსებობა, ან თვითონ რით გაიხარა? არც ერთ მის ოცნებას აღსრულება არ ეწერა. სამშობლო უთათრდებოდა, ხალხი ირყვნებოდა, ბოროტება სიკეთეს სძლევდა. მაგრამ თავის იღბალს მაინც არ ემდუროდა დიდება. თუმცა ბედი არასოდეს ანებივრებდა, ბოლომდეც არასდროს იმეტებდა. არც მოღალატე ყოფილა, საკუთარი ერის წინააღმდეგ მებრძოლი, არც მკვლელი, არც დამსმენი. კიდევ ბევრი უკეთურება ასცდენია. განა ეს ბედის წყალობა არ იყო? რამდენად ბედნიერი იყო ნასყიდა-ეფენდისთან შედარებით, თუნდაც იმით, რომ ეფენდის არავინ ეძახდა და არც არავინ დაუძახებდა არასოდეს. ძალაუფლებაც ვერაფერი უპირატესობაა, მერე რა, რომ კაცის მოკვლა, გამწარება და აწიოკება შეგიძლია დაუსჯელად, ან თუნდაც უსაზღვრო წყალობის გაღება, როცა მოგესურვება? ყველა მბრძანებელი მონაა თავისი ძალაუფლებისა, უფრო უარესი მონა, ვიდრე ბორკილდადებული ტყვე, თავისუფლებაზე ოცნებას რომ ვერავინ დაუშლის.

დაღლილმა დიდებამ თავი ჩაჰქინდრა და ჩასთვლიმა. უცებ, ვიღაცამ შეანჯღრია. დაფეთებული გამოერკვა და შავანაფორიანი მორჩილი შერჩა ხელთ.

„მამა ნიკიფორე გიხმობს თავის სენაკში!“

„ვინა?“ შეშფოთდა დიდება.

„მამა ნიკიფორეს არ იცნობ?“ გამკაცრდა ხმა.

დიდება წამოდგა და უკან მიჰყვა ტანმორჩილ ბერს...

ბნელი ტალანი გაიარეს. მორჩილმა მუხის მძიმე კარი შეაღო და დიდება მკრთალად განათებულ საკანში შეუშვა, რომელსაც თაღივით მორკალული ჭერი ჰქონდა და ერთადერთი ვიწრო სარკმელი, საიდანაც შემოსული შუქი, ეტყობა, არ იყო საკმარისი და ამიტომ კედელზე მიმაგრებულ შანდალში მსხვილი კელაპტარი ენთო. მამა ნიკიფორე ტახტზე იჯდა. მან ჯვარი გადასწერა დიდებას და ხელი გამოუწოდა. დიდება ემთხვია მღვდელმთავარს.

„წელან საკურთხევლიდან გამოვედი და დაგინახე კუთხეში მჯდარი. მყისვე გიცანი. შენზე ამბობდნენ დაიღუპაო, როგორ გადარჩი?“ ჰკითხა მამა ნიკიფორემ.

„თვითონაც არ ვიცი. ჯერ არ მეწერა, ალბათ, სიკვდილი“.

„აქამდე როგორღა მოაღწიე, თავი რით გაიტანე, ქურდობა შენ არ შეგიძლია და მათხოვრობა“.

„ხან ქარავნებს ავედევნე, ხან მწყემსებს შევეკედლე. გარეული ხილიც მხვდებოდა გზად და ასე გავძელი...“

მამა ნიკიფორემ თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

„საკუთარი თავისთვის ბრძოლა არ შეგიძლია, ხელის გამოღება არ გიყვარს, თორემ რომელი მეომარი შენა ხარ? რატომ გლახუნა არ წაიყვანეს ლაშქარში, ვითომ რითა გჯობია, რით არის შენზე უკეთესი ხუროთმოძღვარი?“

„ვინა თქვა, უკეთესიაო?“

„ყველას ეგრე ჰგონია“.

„იმიტომ, რომ ეგ ბრიყვი და ამპარტავანია და ბრბოს ბრძენი და ძლიერი ჰგონია. განა მაგდენის გარჩევა შეუძლიათ? თანაც ხელისუფალნი გლახუნას მფარველობენ“.

„იმიტომ, რომ, რასაც ეუბნებიან, იმას აკეთებს, იცის, როგორ ასიამოვნოს ძალაუფლების მპყრობელთ“.

„ჰოდა, ქვეყანაც მაგისთანა გლახუნების ხელშია“.

სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა, როგორ იღვენთებოდა შიშინით შანდალში ჩარჭობილი სანთელი.

„ეხლა რას აპირებ?“

„რა ვიცი, აბა? მძიმედ ვიყავი დაჭრილი, ბევრი სისხლი დავკარგე. მაგრამ რაკი ცოცხალი დავრჩი და ტყვეობასაც გადავურჩი, აღარა მიშავს რა. რამე საქმეს მოვკიდებ ხელს...“ თქვა დიდებამ.

„ეკლესიების შენება კარგა ხანია აკრძალეს, მოხატვაც“.

„ვიცი“.

„ჰოდა, რა უნდა ქნა, რა გიყო, რით დაგეხმარო, მე რა შემიძლია?“

დიდებას ფერმა გადაუარა, გული ძალუმად აუძგერდა და მუხლებში სისუსტე იგრძნო.

„მამაო, თუ ამ ეკლესიის მებაღედ ამიყვან, ან დარაჯად...“

„დარაჯი მყავს, მებაღედ შენ არ გამოდგები...“

დიდებამ თავი ჩაქინდრა. თვითონაც გრძნობდა, რომ არ იყო შეუპოვარი კაცი და ამის გამო ის ხალხი, მის ფრჩხილად რომ არ ღირდა, ანგარიშს არ უწევდა და არაფრად აგდებდა. ამ ამბავს უკვე შეჩვეული იყო, რადგან ამ ქვეყანაში რწყილისოდენა შესაძლებლობების პირებსაც კი სპილოსოდენა მოთხოვნები და გაბერილი წარმოდგენა ჰქონდათ თავის თავზე. ბუნებრივია, ჭეშმარიტად ღირსეულ ხალხს ზედაც არავინ უყურებდა. ადამიანის ბედი მის გარეგნობაში და ხასიათშიც არის გამოხატული. დიდება ერთი უბრალო კაცი იყო, შეუხედავი და ჩუმი. ვინ მისცემდა მას სამუშაოს, ვიღას ახსოვდა და ვიღას სჭირდებოდა იგი. ან რა შენდებოდა, ან რა კეთდებოდა იმის ფასი, რაც ინგრეოდა და ნადგურდებოდა!

„ერთი თხოვნა მაქვს, მამაო! მომეცი უფლება სამრეკლოს კიბის ქვეშ ღამე მაინც გავათიო ხოლმე...“

მამა ნიკიფორემ წვერზე ხელი ჩამოისვა.

„ეგ არ არის ძნელი. კი, ბატონო. ვეტყვი, თივა დაგიგონ!“

დიდებამ მადლობა გადაუხადა და გახარებული კარისკენ გაემართა. მამა ნიკიფორე გაოცებული დარჩა, რა უხარიაო, მაგრამ მერე მოაგონდა, ეს კაცი მუდამ ძალზე მცირეთი რომ კმაყოფილდებოდა, ქვეყნისგან ბევრს არაფერს მოითხოვდა... დიდება თავის გაკეთებულ საქმეს თვითონ არ აფასებდა დიდად და სხვები რას დაუფასებდნენ. ასეთი კაცი იყო იგი, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო მამა ნიკიფორე, რომ იმ ეკლესიის ამგებს, რომელსაც ახლა თვითონ განაგებდა, მცირე პატივი მიაგო, დახმარების ხელი გაუწოდა, თავშესაფარი მისცა. ბევრი ამასაც ვერ გაბედავდა...

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) **10. *რა* მიზეზით „გამოუვიდა“ დიდებას ეკლესიის კედლებზე ანგელოსების ნაცვლად ეშმაკეულნი?**

ა) ეშმაკეულთა გამოსახვით დიდება საზოგადოებრივ მანკიერებებს ამხელდა.
ბ) ეშმაკეულთა გამოსახვით დიდებას თავისი ოსტატობის ჩვენება სურდა.
გ) საზოგადოებაში, რომელშიც დიდება ცხოვრობდა, გულგრილობა სუფევდა.
დ) საზოგადოებაში, რომელშიც დიდება ცხოვრობდა, ბოროტება იყო გამეფებული.

(1) **11. *რა* საფუძველი აქვს დიდებას პიროვნულ ტრაგედიას?**

ა) ეკლესიის კედლების მოხატვა ვერ დაასრულა.
ბ) მის მიერ აგებულ ეკლესიას სხვები განაგებდნენ.
გ) მძიმე ცხოვრებამ დაღალა და გულგრილი გახადა.
დ) „ბედი არასოდეს ანებივრებდა, ბოლომდეც არასოდეს იმეტებდა“.

(1) **12. *რატომ* თვლიდა დიდება საკუთარ თავს ბედნიერად ნასყიდა-ეფენდისთან შედარებით?**

ა) იმიტომ, რომ ცხოვრებაში ბევრი უკეთურება ასცდა.

ბ) იმიტომ, რომ „უსაზღვრო წყალობის გაღება“ არ შეეძლო.
გ) იმიტომ, რომ სხვების „გამწარება და აწიოკება“ შეეძლო.
დ) იმიტომ, რომ ძალაუფლების ტვირთი არ აწვა.

(1) **13. *რის* თქმა სურს ავტორს ფრაზით:** „ყველა მბრძანებელი მონაა თავისი ძალაუფლებისა“**?**
ა) ძალაუფლება გულისხმობს თავისუფლებას.
ბ) ძალაუფლების მქონე თავისუფალია.
გ) ძალაუფლების მქონე მბრძანებელია.
დ) ძალაუფლება გულისხმობს მონობას.

(1) **14. *რის* თქმა სურს მამა ნიკიფორეს სიტყვებით:** „ხელის გამოღება არ გიყვარს“**?**
ა) დიდება საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე არ ზრუნავს.
ბ) დიდება ცხოვრების მიზნად ომში გამარჯვებას არ მიიჩნევს.
გ) დიდებასთვის მთავარი მიზანი პირადი კეთილდღეობაა.
დ) დიდებასთვის მთავარი ახალი ტაძრების აგებაა.

(1) **15. გლახუნას ხასიათის *რა* თვისება ჩანს მოცემულ ტექსტში?**
ა) გლახუნასათვის მნიშვნელობა არა აქვს ხელისუფალთა კეთილგანწყობას.
ბ) გლახუნა პრინციპული ხელოვანია და ამიტომ მფარველობენ ხელისუფალნი.
გ) გლახუნას დამსახურებულად აქვს მოპოვებული ხელისუფალთა კეთილგანწყობა.
დ) გლახუნა მედროვე ხელოვანია და ამიტომ მფარველობენ ხელისუფალნი.

(1) **16. საზოგადოების *რა* ზნეობრივ მდგომარეობას წარმოაჩენს დიდებას სიტყვები:** „ქვეყანაც მაგისთანა გლახუნების ხელშია“**?**
ა) საზოგადოება ზნეობრივ იდეალად გლახუნას აღიარებს.
ბ) საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპები გაუფასურებულია.
გ) საზოგადოება ზნეობრივ იდეალად დიდებას აღიარებს.
დ) საზოგადოებაში ზნეობრივი პრინციპები ხელშეუხებელია.

(1) **17. *რომელ* ციტატაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**
ა) „ანგარიშს არ უწევდა და არაფრად აგდებდა“.
ბ) „არც მოდალატე ყოფილა, საკუთარი ერის წინააღმდეგ მებრძოლი“.
გ) „სპილოსოდენა მოთხოვნები და გაბერილი წარმოდგენა ჰქონდათ“.
დ) „დიდებას... გული ძალუმად აუძგერდა“.

(1) **18. *რატომ* იყო მამა ნიკიფორეს მხრიდან დიდებასათვის დახმარების გაწევა გაბედულება?**
ა) დიდება პრინციპებისადმი ერთგულების გამო საშიში იყო ხელისუფლებისათვის.
ბ) დიდება ეკლესიისადმი უპატივცემულობის გამო მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის.
გ) დიდებას გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ შესაძლებლობებზე.
დ) დიდებამ ეკლესიის კედლებზე უნებურად ეშმაკეულნი გამოსახა.

(1) **19. *რა* არის მოცემული ტექსტის უმთავრესი აზრი?**
ა) დეგრადირებულ საზოგადოებას ნამდვილი ხელოვანის დაფასება არ შეუძლია.
ბ) დეგრადირებულ საზოგადოებას მტერზე გამარჯვების მოპოვება არ შეუძლია.
გ) დეგრადირებულ საზოგადოებაში ადამიანი კეთილდღეობას ვერ მოიპოვებს.
დ) დეგრადირებულ საზოგადოებაში ძალაუფლების წყურვილი ძლიერდება.

ბ) წერითი დავალება:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება</u>, *თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცლები შავი სამუშაოსათვის, რომელიც <u>არ სწორდება</u> (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ ისინი).

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა მორალურ-ეთიკურ პრობლემებს სვამს ავტორი მოცემულ ტექსტში.
- იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება მოცემულ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების მიმართ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

III ვარიანტი

I. ქართული ენა

1. 1. – ვ); 2. – კ); 3. – ა); 4. – გ).
2. I შეცდ. 1, 2, 4, 6; II უშეცდ. 3, 5, 7.

3. თავისუფლების მოედანი დიდი ხნის განმავლობაში უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. ვახუშტის მიერ შედგენილ გეგმაზე იგი გარშემორტყმულია ბაგრატიონთა ბაღებით. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მოედანზე შეშის ბაზრობა იმართებოდა. იქ, სადაც ახლა მცირე სკვერია შემორჩენილი, შეშით დატვირთული ურმების სადგომი იყო. მოგვიანებით ამ ადგილას ხეივნის გაშენება გადაწყვიტეს. თბილისის საზოგადოებამ გაიღო თანხა, რათა აქ პუშკინის ბიუსტი დაედგათ.

მოედნის ირგვლივ იდგა რამდენიმე შენობა, რომლებიც სხვადასხვა დროს აიგო. ზოგიერთი მათგანი დღესაც ამშვენებს ჩვენს დედაქალაქს. მოედნის ერთ მხარეს დგას მერიის შენობა, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აღუმართავთ. თავდაპირველად აქ პოლიციის განყოფილება იყო განთავსებული. მოგვიანებით ქალაქის ხელმძღვანელობამ ნაგებობა არქიტექტორ შტერნის პროექტის მიხედვით გადააკეთებინა. საბოლოო სახე მან 1912 წელს მიიღო.

4.

I. კრიტერიუმი

№	ტექსტის ორგანიზება	*ქულები*
1.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე.	3
2.	ტექსტი ორგანიზებულია და პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია სამივე მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული.	2
3.	ტექსტი ორგანიზებულია, მაგრამ პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან პასუხი გაცემულია ორ მითითებაზე, მაგრამ ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან დავალება ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
4.	ტექსტი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ მითითებაზე ან დავალება არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი არ სწორდება

II. კრიტერიუმი

№	დასაბუთება	*ქულები*
1.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული სამივე მითითება და ***გამყარებულია*** შე-საბამისი მაგალითებით.	4
2.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება და მესამე – ნაწილობრივ.	3
3.	***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ერთი მითითება და ორი – ნაწილობრივ.	2
4.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული სამივე მითითება ან ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული ორი მითითება, მაგრამ ერთი მითითება არ არის დასაბუთებული.	1
5.	ნაწილობრივ არის დასაბუთებული მხოლოდ ორი მითითება და მესამე არ არის დასაბუთებული ან დასაბუთებულია მხოლოდ ერთი მითითება, დანარჩენი ორი არ არის დასაბუთებული.	0

III. კრიტერიუმი

№	ორიგინალური აზროვნება და ზოგადი განათლება	*ქულები*
1.	ნაშრომში გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათ-ლება.	1
2.	ნაშრომში არ გამოვლინდა ორიგინალური აზროვნება და/ან ზოგადი განათლება.	0

IV. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

V. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
2.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
3.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

VI. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	1
2.	დაშვებულია სამზე მეტი შეცდომა.	0

II. ქართული ლიტერატურა

5. წერა-კითხვის მცოდნეს აღნიშნავს სიტყვა „მწიგნობრობითა“. ტექსტში მოხსენებული ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც ებრაელთა და არაბთა საერთო წინაპრადაა მიჩნეული, არის აბრაჰამი. ეს სიტყვები ნიშნავს, რომ აბო თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად კი არ მოქმედებდა, არამედ – ღვთის ნებით. ამით ავტორს იმის ხაზგასმა სურს, რომ მატერიალურთან შედარებით ყოველთვის სულიერ მოთხოვნილებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. აბოს კეთილშობილებას აღნიშნავს სიტყვა „სათნოებითა“.

1. მწიგნობრობითა ——————————————————————————————————————1ქ.
2. აბრაამი ——————————————————————————————————————1.ქ.
3. არა თავისი სურვილით, არამედ ღვთის მოწოდების თანახმად ——————————————1.ქ.
4. ქრისტიანობისათვის ადამიანმა მატერიალური ფასულობანი უნდა დათმოს ——————————1ქ.
5. სათნოებითა ——————————————————————————————————————1ქ.

6. ტარიელმა არ უნდა იდარდოს იმის გამო, რომ ნესტანი შეიძლება სხვას გაჰყვეს ცოლად. „არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა“. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად ნესტანს თვითმკვლელობა რჩება. ნესტანი სთხოვს ტარიელს, ილოცოს მისი სულისათვის. ტარიელი თუ მის თხოვნას შეასრულებს, ნესტანს სამოთხე ელის.

1. ნესტანი შეიძლება სხვისი გახდეს ——————————————————————————1ქ.
2. „არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა“ ——————————————————1ქ.
3. თვითმკვლელობა ——————————————————————————————————1ქ.
4. ეკედროს ღმერთს ——————————————————————————————————1ქ.
5. სასუფეველში დამკვიდრდება ——————————————————————————————1ქ.

7. რუსი ოფიცრის აზრით, ბუზების გაყიდვით ახალი აღებ-მიცემობა დაიწყება. „ახლად დაჭერილ ქვეყნებს“, ოფიცრის აზრით, განათლებული ადამიანები სჭირდება. „იზლერის ბაღი გამართოს“. რუსი ოფიცრის ამ მცდელობაში ვლინდება მისი ამპარტავნობა (ქედმაღლური დამოკიდებულება). ამ მონაკვეთში ჩანს ავტორის სარკასტული დამოკიდებულება რუსი ოპფიცრის მიმართ.

1. ბუზებით ვაჭრობაში ——————————————————————————————————1ქ.
2. განათლებული ——————————————————————————————————1ქ.
3. იზლერის ბაღი გამართოს ——————————————————————————————1ქ.
4. ქედმაღლობა ——————————————————————————————————1ქ.
5. ირონიული ——————————————————————————————————1ქ.

8. „ფერს არა ჰკარგავს მგლისასა“. მუცალს სიცოცხლესთან გამოთხოვება რომ არ სურს, გამოხატულია იმით, რომ იგი ჭრილობაში ბალახს იფენს. ალუდას ვაჟკაცობას რომ აღიარებს, გამოხატულია იმით, რომ მუცალი მას თოფს გადაუგდებს. გამოთქმაში – „სიტყვა გაუშრა პირზედა“ – იგულისხმება სიკვდილი. ალუდას იმიტომ „არ ეხარბება თვალი“ იარაღზე, რომ მუცალი ეცოდება.

1. „ფერს არა ჰკარგავს მგლისასა“ ——————————————————————————1ქ.
2. ჭრილობაში ბალახის ჩაფენით ——————————————————————————1ქ.
3. თოფი გადაუგდო ალუდას ——————————————————————————1ქ.
4. გარდაცვალება ——————————————————————————————1ქ.
5. ალუდას შეებრალა მტერი ——————————————————————————1ქ.

9. ლექსის პირველ სტრიქონში გამოხატულია ლირიკული გმირის სევდა (მოწყენილობა, მარტოობის განცდა...). მესამე სტრიქონში გამოხატულია ლირიკული გმირის სიყვარული. სტრიქონში „მე განშორების ცივი თოვლი მეხურა“ გამოყენებულია მეტაფორა. „ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნაალერსალი“. ლექსის მთავარი სათქმელია სიყვარულით გამოწვეული გულსტკივილისა და მიუსაფრობის განცდის გამოხატვა.

1. დარდი (მარტოსულობა) ——————————————————————————————1ქ.
2. სიყვარული ——————————————————————————————————1ქ.
3. მეტაფორა ——————————————————————————————————1ქ.
4. „ვტიროდი ხარბად – მარტოობით ნაალერსალი“ ——————————————————1ქ.
5. სიყვარულით გამოწვეული ტანჯვის გამოხატვა ——————————————————1ქ.

წაკითხულის გააზრება

10. *დ)* ----------*1ქ.* **11.** *გ)* ----------*1ქ.* **12.** *დ)* ----------*1ქ.* **13.** *დ)* ----------*1ქ.* **14.** *ა)* ----------*1ქ.*
15. *დ)* ----------*1ქ.* **16.** *ბ)* ----------*1ქ.* **17.** *გ)* ----------*1ქ.* **18.** *ა)* ----------*1ქ.* **19.** *ა)* ----------*1ქ.*

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტება*	*მაქსიმალური ქულა*
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	**4**
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**3**
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	**6**
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	**2**
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	**3**
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	**1**
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	**2**
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**2**
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**2**

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
5.	ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. *დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.*	3
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის ***გამოყოფილი*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**